დანართი:ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. **1**წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირების (შემდგომში ვიზიტორი) უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა (დასაქმებულების შემთხვევაში) და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები.

1.2წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედების მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის უსაფრთხოების, პირველადი დახმარების აღმოჩენის და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1.3კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს და შეასრულოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული მითითებები.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების საფუძველი

1.2კოლეჯი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს შემდეგი საკანონმდებლო აქტებითა და შიდა რეგულაციებით: საქართველოს კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ"; საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,№370 - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N508 დადგენილება "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ"; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილება "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ"; საქართველოს კანონი ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ"; საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ", საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანება; ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" შინაგანაწესი.

მუხლი 3. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

3.1შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი ახორციელებს:

- დასაქმებულთა მუდმივ სწავლებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებას; — საგანმანათლებლო პროცესების უსაფრთხოებას;
- სამუშაო და დასვენების რეჟიმის ოპტიმალურ გადანაწილებას;
- ელექტრო დანადგარებისა და მოწყობილობების პერიოდულ შემოწმებას, შეფასებას;
- პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების ობიექტურ გამოძიებას;
- შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვას,

მუხლი 4. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირები

4.1კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტი.

4.2დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა, შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს .

4.3შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად ეკისრება დარაჯს.

4.4შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვა ევალება კოლეჯის ყველა დასაქმებულს.

მუხლი 5. შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტის უფლებები და მოვალეობები

5.1უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა)შენობაში საფრთხის რისკები დაიყვანოს მინიმუმამდე;

ბ)დაიცვას თითოეული თანამშრომელის უფლებები დამსაქმებელთან;

გ)კოლეჯში დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისთვის ჩაატაროს შეხვედრები/ტრენინგები სახანძრო

უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

დ)აწარმოოს ჟურნალი, სადაც აღირიცხება შეხვედრები/ტრენინგების მონაწილეთა შესაბამისი ხელმოწერით;

ე)იქონიოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;

ვ)უსაფრთხოებისთვის საჭირო დამატებითი რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს დირექტორს და უზრუნველყოს პროცესის მართვა;

ზ)უზრუნველყოს თანამშრომლების /პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებისამებრ ინფორმირება.

5.2უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი შრომის უსაფრთხეობის და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტი უფლებამოსილია:

ა)კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გაატაროს საჭირო ღონისძიებები შესაბამისი (მთავრობის დადგენილება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“) დადგენილების ფარგლებში;

ბ)შემხვედრ საჭიროებებზე საპასუხოდ იმოქმედოს დაუყოვნებლივ, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმების გარეშე;

დ)ისარგებლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი რეგულაციებით;

ე)ჩაატაროს სწავლება სახანძრო განგაშის სიმულირების გზით;

ვ)მოსთხოვოს კოლეჯში დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მისი მართლზომიერი მითითებების შესრულება.

ზ)საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.

მუხლი 5.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესები და პასუხისმგებელი პირი

5.1კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას.

5.2პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.

5.3კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარით, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებითა და მედიკამენტებით.

5.4კაბინეტის ფუნქციონირებას და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას უზრუნველყოფს მედდა.

5.5კოლეჯში დასაქმებულები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმირებულნი არიან კაბინეტის მდებარეობის შესახებ , კოლეჯის შენობაში გამოკრულია კაბინეტის შესახებ მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები ,მედდის მობილური ტელეფონის ნომერი.

5.6.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხიმგებელი პირიის კოლეჯი მედდის ფუქცია -მოვალეობებია:

ა)კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით;

ბ)კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს შესაძენად აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების ნუსხა;

გ)განახორციელოს მონიტორინგი კაბინეტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე და უწესრიგობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

დ)კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

ე)კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება ან და გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება;

ვ)აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;

ზ)აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის ელექტრონულად შეტანის გზით;

თ)უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

მუხლი 6. საგანგებო სიტუაციების მართვის წესი

6.1.კოლეჯს შემოშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის წესი საგანგებო სიტუაციების მართვის წესი განსაზღვრავს კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე

რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს,მართვის პროცესის განხორციელებას საობიექტო დონეზე.საგანგებოს სიტუაციების მართვის წესის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან კოლეჯის თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიების წარმართვა,საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების,მისი განვითრების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება/ორგანიზება და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

6.2.წესში გასაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხიმგებელი პირები და მათი ფუნქცია -მოვალეობები;

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოება

7.1კოლეჯი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რომელიც განკუთვნილია უსაფრთხოებისთვის: ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით;ევაკუაციის გზის მანათობელი მაჩვენებლებით;ავარიული განათებით;სახანძრო ინვენტარით,ხანძარსაწინაამღდეგო გამაფრთხილებელი ამკრძალავი ნიშნებით;

7.2კოლეჯის შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები (4 ცალი)

7.3კოლეჯში განთავსებულია შიდა და გარე გამოყენების უსაფრთხოების კამერები(სულ 16კამერა).

7.4 .კოლეჯს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინაამღდეგო უსაფრთხოების დაცვის წესები და განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებლი პირი;

მუხლი 8.გარდამავალი დებულებები

8.1კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას,

8.2.საკითხები რომლებიც არ არის ასახული წესში რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

9.1.ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტით -ბრძანებით.

9.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით-ბრძანებით.

დირექტორი : **ნანა ჯოლია**